ზესტაფონის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№93 13 ივლისი, 2010 წელი

ქ. ზესტაფონი

ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ

ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოსამართლეების, სასამართლოში მოსული პირების, ასევე სასამართლო სხდომების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში დაუშვებელია:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (ან სხვა სურათიანი დოკუმენტის) გარეშე სასამართლო შენობაში გარეშე პირთა შესვლა;

ბ) სასამართლოს სპეციალური საშვის გარეშე ნებისმიერი (გარდა ბადრაგირების სამსახურის) ავტოსატრანსპორტო საშუალების სასამართლოს ტერიტორიაზე შესვლა;

გ) სასამართლოში (სასამართლო სხდომის დარბაზში) ნებისმიერი პირის (გარდა ბადრაგირების სამსახურის თანამშრომლისა) იარაღით შესვლა;

დ) სასამართლო სხდომის დარბაზის შევსების შემდეგ პროცესზე დასასწრებად მოსულ პირთა სხდომის დარბაზში დაშვება;

ე) პროცესზე დაგვიანებულ პირთა სასამართლო სხდომის დარბაზში დაშვება;

ვ) მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად სასამართლოს ტერიტორიაზე გარეშე პირთა თავშეყრა;

ზ) სასამართლოს ტერიტორიაზე (გარდა სპეციალურად ამისთვის გამოყოფილი ადგილისა) თამბაქოს მოწევა;

თ) სასამართლო სხდომის დარბაზში მობილური კომუნიკაციით სარგებლობა;

ი) პროცესის დამთავრების შემდეგ სასამართლო სხდომის დარბაზში გარეშე პირთა ყოფნა.

2. სასამართლოში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოს მანდატური ვალდებულია:

ა) აღკვეთოს სასამართლოში წესრიგის დარღვევის ნებისმიერი ფაქტი. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დამრღვევი პირის დაკავება და შესაბამისი ოქმის შედგენა, მისი სასამართლოს თავმჯდომარესთან, სხდომის თავმჯდომარესთან (მოსამართლესთან) წარდგენის ან პოლიციისათვის გადაცემის მიზნით;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები ან/და იარაღი, ხოლო მათი გამოყენებიდან 24 საათის განმავლობაში წერილობით შეატყობინოს ეს სასამართლოს თავმჯდომარეს.

3. სასამართლოში (სასამართლო სხდომის დარბაზში) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით სასამართლო მანდატური ვალდებულია:

ა) დაიცვას სასამართლოს ადმინისტრაციული შენობა;

ბ) პროცესის დაწყებამდე შეამოწმოს სასამართლო სხდომის დარბაზი, უზრუნველყოს საქმეებისა და ნივთმტკიცებების გადატანა და დაცვა;

გ) აკრძალული საგნის სასამართლოში შეტანის აღკვეთის მიზნით, სასამართლოში შესვლამდე და შემდგომში (მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში), შეამოწმოს ყველა პირი;

დ) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველყოს დროებით ჩამორთმეული იარაღის შენახვა და დაცვა, ხოლო სასამართლოდან გასვლისას მფლობელისათვის მისი უკან დაბრუნება ჩაბარების ხელწერილით;

ე) დროულად და სათანადოდ შეასრულოს სასამართლოს თავმჯდომარისა და სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) მითითებები.

4. სასამართლოში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირის მიერ.

5. სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა დაიშვება სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილი წესით. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს (მოსამართლის) მოტივირებული გადაწყვეტილებით.

6. ეს ბრძანება გაეცნოს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს.

7. ბრძანების შესრულება დაევალოს სასამართლოს მანდატურის სამსახურს.

8. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.

მერაბ გაბინაშვილი

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე